ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მასობრივი
## ღონისძიებების
## მომზადებისა და ჩატარების
# მეთოდიკა

/მეთოდური რეკომენდაციები/

თბილისი
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრი

# მასობრივი ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა

( მეთოდური რეკომენდაციები)

თბილისი
1988

374.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგენელი ვ. კეველიშვილი

რედაქტორი თ. გაბელია

კორექტორი ზ. ქებურია

რეცენზენტები : ე. წულუკიანი, გ. კახელი

F 63.686

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვე ეტაპზე, ჩვენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პირობები ქმნის შესაძლებლობებს, საბჭოთა ადამიანებმა თავისუფალი დრო აქტიურად გამოიყენონ კულტურული და გონებრივი დასვენების, ბავშვთა აღზრდის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, თვითშემოქმედების განვითარებისათვის, აგრეთვე თავიანთი კულტურული და იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, გართობისათვის, მოგზაურობისა და სხვა ნებისმიერი საქმიანობისათვის.

მშრომელებისათვის ასეთი პირობების შექმნა – ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ობიექტური პროცესია, პარტიისა და მთავრობის სოციალური პოლიტიკის მიზანია, რომელიც გამომდინარეობს მეცნიერული კომუნიზმის პროგრამული დებულებიდან, ვინაიდან იმაზე, თუ როგორ ატარებს ადამიანი თავისუფალ დროს ბევრადაა დამოკიდებული მისი შრომითი საქმიანობის მაჩვენებლები.

რადიოსა და სატელევიზიო პროგრამების, თეატრალურ-სანახაობრივი დაწესებულებების, სპორტული მეცადინეობების, თვითშემოქმედების გარდა თავისუფალი დროის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი როლი უკავია გართობას.

ადამიანების ამ უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დღის წესრიგში დგას მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის ხალხის სამსახურში ჩაყენების ამოცანა. მიზანი ნათელია – დღეს თითოეულ მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენტს შესაძლებლობა აქვს ეზიაროს წინაპართა მემკვიდრეობას და ამავე დროს, დაეყრდნოს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

ამ ამოცანის განხორციელებაში დიდი მოვალეობა აკისრია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებსაც მასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვის საქმეში პარტიული ორგანიზაციების დასაყრდენ ბაზებს უწოდებენ.

აქედან გამომდინარე, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის, მათი იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ზრუნვა ადამიანის ესთეტიკური აღზრდისათვის, პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითოეულმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებამ პოლიტმასობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ისე უნდა წარმართოს, რომ იგი საინტერესო, მიმზიდველი და გასაგები იყოს აუდიტორიისათვის, რაც დრომოჭმული ფორმებითა და მეთოდებით მუშაობის კარდინალურად გარდაქმნასა და საქმიანობაში სიახლის, უფრო ცოცხალი ფორმების დანერგვას გულისხმობს.

წინამდებარე მეთოდური რეკომენდაციის მიზანია, დახმარება გაუწიოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებს მასობრივ-სანახაობრივი ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში, აგრეთვე, მათ დანიშნულებაში მშრომელთა თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენების საქმეში.

მასობრივი ღონისძიება კულტურული დასვენებისა და მხატვრულად გაფორმებული ღონისძიებების კომპლექსია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოქმედების მასშტაბურობა. იგი ითვალისწინებს მოქმედების რამოდენიმე მოედანს, სადაც გამოსვლები ერთდროულად ან თანამიმდევრობით, მონაწილეთა სხვადასხვაგვარი შესრულებით ტარდება : სიმღერა, ცეკვა, მხატვრული კითხვა, თეატრალური და სპორტული სანახაობები და სხვა, რომლებშიც მნიშვნელოვნადაა ჩართული ფოლკლორული, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები. ისინი წინასწარაა გათვალისწინებული და მომზადებული ამ ღონისძიების სასცენარო გეგმით, ან სცენარით და ემორჩილება ერთ მხატვრულგამომსახველობით გადაწყვეტას, რომლის მთავარი პირობაა მასობრიობა...

მასობრივი ღონისძიება ეს არის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის კონკრეტული ფორმა; მისთვის დამახასიათებელია ურთიერთობების ფართო შესაძლებლობა და ამდენად მშრომელთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყაროს წარმოადგენს.

მასობრივი ღონისძიებების ერთ-ერთი პოპულარული და მიღებული სახეა სახალხო დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ მნიშვნელოვანი თარიღის ტრადიციულ აღნიშვნასთან; იგი მასების ორგანიზაციული დასვენებისა და სანახაობისაგან განსხვავებით დაფუძნებულია არამარტო აღქმაზე, არამედ ადამიანთა დიდი რაზმის ორგანიზებულ მოქმედებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასში გაერთიანებულია თვითმოქმედების სხვადასხვა ფორმები, კაცობრიობის ისტორიაში სახალხო დღესასწაულს ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა და ეპოქის შესაბამის ცვლილებებს განიცდიდა.

სახალხო დღესასწაულის მთავარი პირობაა მასში ხალხის ფართო მასების უშუალო მონაწილეობა. ნ.კ. კრუპსკაია წერდა, რომ „ ხელოვნება მაშინ არის საინტერესო, როცა ხალხი უშუალო მონაწილეობას იღებს მასობრივ მოქმედებაში და არა მაშინ, როცა იგი პასიური მსმენელის ან მაყურებლის როლში გვევლინება “.

ამას რომ მივაღწიოთ საჭიროა, ყველა ღონისძიების შინაარსს განსაზღვრავდეს მაღალი იდეალები, საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები, ხოლო ფორმა მაღალ-მხატვრული, დახვეწილი და ორიგინალური უნდა იყოს. სწორედ მაშინ, მონაწილეთა შორის არ იქნებიან პასიური და ფორმალურად დამსწრე ადამიანები. ერთი სიტყვით, როგორც რომენ როლანი აღნიშნავდა „ ხალხი დღესასწაულის მოქმედი გმირი უნდა გახდეს “.

სამწუხაროდ, ამ ბოლო პერიოდში ხშირად სახალხო დღესასწაულები და სხვა წეს-ჩვეულებები, რიტუალები იმდენად ერთფეროვნად ტარდება, რომ მათი ერთმანეთისაგან გარჩევა მხოლოდ სახელწოდებით შეიძლება. ასეთი დღესასწაულებისათვის დამახასიათებელია ოფიციალური ნაწილის ერთფეროვნება. ერთი სიტყვით, იგი ემსგავსება ჩვეულებრივ ღონისძიებას, რომელიც ყოველგვარი შთაბეჭდილებებისა და ინტერესების გარეშე სრულდება.

საბჭოთა მასობრივი დღესასწაულების განვითარების ძირითადი ხაზია შრომის საზეიმო გააზრება და მისი ინტერნაციონალური ბუნება, რომელიც გამომდინარეობს საბჭოეთის სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ურღვევი მეგობრობიდან და სოციალისტური ინტერნაციონალიზმიდან.

დღესასწაულის ორგანიზაციის მთავარი პირობაა მისდამი ხალხის მზადყოფნა და მისწრაფება მასში მონაწილეობის მისაღებად. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისი აღვნიშვნის მდგრადობას. ხალხი წინასწარ, [illegible] უნდა ემზადებოდეს მის შესახვედრად, განეწყოს ზეიმისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, უნდა გამოირიცხოს აჩქარებული, ზერელე მზადება, რაც ხშირად ნამდვილ სახეს უკარგავს მას.

მასობრივი ღონისძიების წარმატებას განსაზღვრავს მთელი რიგი გარემოება, რომელთაგანაც მთავარია ორი ურთიერთშემაკავშირებელი ფაქტორის – თეატრალიზებული წარმოდგენის დოკუმენტური თემატური ნაწილისა და მხატვრულ-სანახაობითი პროგრამის ორგანული შერწყმა, რომელთა ერთობის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების გააქტიურება, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ღონისძიების სცენარში.

დღესასწაულის წარმატება დამოკიდებულია აგრეთვე, მასების განწყობასა და გააზრებულ ორგანიზებაზე ღონისძიებისა, რომელიც ჭეშმარიტ ზეიმად იქცევა მაშინ, როდესაც ხალხის ფართო მასები ინტერესითა და ხალისით გამოეხმაურება მას.

სახალხო დღესასწაულის ორგანიზება-მომზადება მოითხოვს მის ორგანიზატორთა ხანგრძლივ, დაძაბულ და მრავალმხრივ შემოქმედებით მუშაობას. ამ მუშაობაში უნდა ჩავაბათ მოწვეული შემოქმედებითი ძალები, სცენარისტები, რეჟისორები, ტექნიკური მომსახურების ჯგუფი, სამხედრო პირები, როგორც პროფესიული, ასევე თვითმოქმედი შემსრულებლები, სპორტსმენები, შრომითი კოლექტივების წარმომადგენლები. წარმოდგენა იმართება წინასწარ შედგენილი სცენარით, რომელშიც დომინირებს ემოციურ-სანახაობითი მხარე.

პროგრამაში ( სცენარში ) აუცილებელია ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება, ჩვენი მდიდარი ფოლკლორული მასალის გამოქვეყნება და თანამედროვე სიახლის დანერგვა. ადგილი უნდა დავუთმოთ, აგრეთვე, თვით ხალხის ინიციატივას.

უკანასკნელ წლებში საერთო-საკავშირო კალენდარულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სხვა პროფესიულ დღესასწაულებთან ერთად, ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე, როგორც სხვა რესპუბლიკებში, წარმატებით დამკვიდრდა ახალი, სოციალისტური შინაარსის ადგილობრივი დღესასწაულები. ამჟამად, რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, მრავალი დღესასწაული იმართება. ესენია: შრომის, ძმობისა და მეგობრობის, ინტერნაციონალური დღესასწაულები, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა ხსოვნის დღეები. ამასთანავე მიმდინარეობს ძველი ქართული ხალხური დღესასწაულების აღდგენა-განვითარება.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკაში უკვე ჩამოყალიბდა სახალხო დღესასწაულების მომზადებისა და ჩატარების ერთიანი, მწყობრი სისტემა, რომელიც ნათლადაა გამოხატული ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისიის „კალენდარ-ცნობარში" „სახალხო დღესასწაულები და ღირსახსოვარი დღეები საბჭოთა საქართველოში", რომელიც რეგულარულად გამოდის 1982 წლიდან. მის წლევანდელ მე-8 გამოცემაში შეტანილია 12 დღესასწაული. გარდა ამ დღესასწაულებისა, ადგილებზე, ყოველწლიურად ატარებენ ასეულობით სხვადასხვა სახის მასობრივ დღესასწაულს, თეატრალიზებულ სანახაობას, თემატურ საღამოებს, შეხვედრებს ომისა და შრომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან. ამკვიდრებენ წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების ისეთ ფორმებს, როგორიცაა: საბჭოთა მოქალაქის პირველი პასპორტის გადაცემა, საბჭოთა არმიის რიგებში გაცილება, მუშად და კოლმეურნედ კურთხევა, პირველი ხელფასის დღე, დაბადების, ნათლობის, ქორწინების ცერემონიები და სხვა. ყველა ეს ერთმანეთს უკავშირდება კომპლექსურად, რომლის მიზანია – საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების, სოციალისტური აღმშენებლობის, სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროპაგანდა, მათი განხორციელებისათვის მშრომელთა ფართო მასების აქტიურად დარაზმვა.

დღეს, პრინციპულად ახალი შინაარსით შეივსო კალენდარული საწეს-ჩვეულებო დღესასწაულები, რომლებიც სათავეს იღებენ ჩვენი ქვეყნის ხალხების ისტორიულ წარსულში და მასში ჰარმონიულადაა შერწყმული თანამედროვეობა და ტრადიციები. მაგალითად, ისევე, როგორც ყველა ერისათვის, ქართველი ერისათვის უძველესი დროიდან მომდინარეობს წინაპართა ხსოვნის ტრადიცია, მათი ხსოვნის აღნიშვნის რიტუალი. ჩვენს რესპუბლიკაში 1983 წლიდან ოფიციალურად დაწესდა „ხსოვნის დღე", რომელიც აპრილის თვეში აღინიშნება. იგი სიამოვნებით მიიღო საზოგადოების ფართო ფენებმა. ასევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება იქცეს გამარჯვების დღის შესახებ. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ დღესასწაულების სიაში საპატიო ადგილს დაიკავებს საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის მარტში მიღებული დადგენილება „ ძეგლის მეგობრის დღის " დაწესების შესახებ, რომელიც მარტის ბოლო შაბათკვირას აღინიშნება.

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და შემდგაც ე.წ. „ უძრაობის პერიოდში ", ჩვენ ბევრი რამ დავგმეთ, რამაც ხელი შეუწყო თვითინიციატივის, შემოქმედების, ჯანსაღი აზრის ერთგვარი შენელების პროცესს. დღეს კი გარდაქმნისა და საჯაროობის პირობები შესაძლებლობას იძლევა სხვა თვალით შევხედოთ ტრადიციებს, რომლებიც თავის დროზე უსამართლოდ უარვყავით.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება საოჯახო ტრადიციებში. დღეისათვის პრაქტიკულად ვერ შეხვდებით ოჯახს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, რომელიც ცხოვრობდეს საზოგადოებისაგან მოწყვეტით, ძველი ტრადიციებით. ოჯახში 'აბჭოური წეს-ჩვეულებების დანერგვის პროცესი მიმდინარეობს გაცილებით ნელა, ვიდრე შრომით კოლექტივებში ან სოციალურ ერთობებში.

დღესასწაულები, რიტუალები და წეს-ჩვეულებები თავისთავად არ ყალიბდებიან. მათი მომზადება ხდება მთელი რიგი ფაქტორების : მოცემული რეგიონის კულტურული განვითარების სპეციფიკის, ტრადიციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ფინანსური, სამეურნეო, შემოქმედებითი საშუალებებისა და სხვათა გათვალისწინებით, თვით ღონისძიება კი ნათლად წარმოაჩენს მისი მომწყობებისა და შემსრულებლების იდეურ-პოლიტიკურ სიმწიფეს, ორგანიზატორულ ნიჭს, მხატვრულ გემოვნებასა და საშემსრულებლო ოსტატობას.

მეორე კომპონენტის – გასართობი სათამაშო პროგრამების მომზადება გაცილებით რთულია, მან უნდა უზრუნველყოს მაყურებელთა უშუალო და აქტიური ჩაბმა სათამაშო სიტუაციებში ( კოლექტიური ცეკვა, სიმღერა, სხვადასხვა გასართობი თამაში და სხვა ). ცხადია, წინასწარი რეპეტიციების ჩატარება შეუძლებელია, ამიტომ ღონისძიებების ორგანიზატორებმა უნდა შექმნან პირობები მოუმზადებელი აუდიტორიის თამაში ( სხვადასხვა მოქმედებაში ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასაბმელად. ამ ორი კომპონენტის შეერთების შედეგად – ერთი მხრივ ღონისძიების თემატიკის განვითარების, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების აქტიური მონაწილეობით პროგრამაში ნათლად გამოიკვეთება მასობრივი ღონისძიების სახე და უკვე შეიძლება სათანადო დასკვნების გაკეთება იმის შესახებ, თუ რამდენად გაამართლა თავისი დანიშნულება მოცემულმა ღონისძიებამ.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის უმრავლეს რაიონებში, მასობრივი დღესასწაულებისა და თეატრალიზებული სანახაობების ჩატარებისას, ხშირად უგულებელყოფილია მეორე კომპონენტი. აქცენტი მთლიანად გადატანილია აზრობრივ დატვირთვაზე, რომელშიც მთავარი ადგილი უჭირავს ემოციურ-სანახაობრივ მხარეს. ეს, რომ ასეა, ამის საილუსტრაციოდ გვინდა მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქში და რაიონში სახალხო დღესასწაულის ჩატარების პრაქტიკიდან.

როგორც წესი, სახალხო დღესასწაულები შაბათ-კვირას და სხვა უქმე დღეებში ტარდება. ამიტომ მისი ორგანიზატორების ამოცანაა მაქსიმალურად და მიზნობრივად გამოიყენონ, უმრავლეს შემთხვევაში, მრავალათასიანი აუდიტორია. ორგანიზაცია გაუკეთონ მათთვის სხვადასხვა სახის გართობისა და დასვენების ღონისძიებათა კომპლექსს, იმ ანგარიშით, რომ დღესასწაულის ოფიციალური ნაწილის ( რომელიც დაახლოვებით 4-5 საათისათვის მთავრდება ) დამთავრების შემდეგ მოეწყოს სახალხო სეირნობები, კინოფილმების ჩვენება, თამაშობები და სხვა, ერთი სიტყვით, დღესასწაულისათვის განწყობილ ხალხს საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ გვიან ღამემდე აქტიურად გაერთოს და დაისვენოს.

სამტრედიის რ-ის ს. დიდ ჯიხაიშში ყოველწლიურად იმართება ცნობილი პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დღე. რომელშიც, გარდა ამ რაიონის მშრომელებისა, მონაწილეობენ მეზობელი რაიონებიდან, აგრეთვე დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმრები, ნიკო ნიკოლაძის ახლობლები და მისი პიროვნების თაყვანისმცემლები, ასეა ყოველთვის და ასე იყო 1987 წლის სექტემბერშიც მორიგ „ნიკოობაზე". ერთი შეხედვით ღონისძიების ორგანიზატორებს ჩვეულებრივ პარტიულ, კომკავშირულ ხელმძღვანელებს, კულტურის განყოფილებას, ნ.ნიკოლაძის სახ. მუზეუმის კოლექტივს ყველაფერი გაუთვალისწინებიათ: დილის 10 საათიდან ზეიმის მონაწილენი ინტერესით ეცნობიან ნ.ნიკოლაძის ცხოვრებისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



და მოღვაწეობის ამსახველ ექსპოზიციას, სახელდახელოდ მოწყობილ „ ხალიჩაზე იმართება ქართული ჭიდაობა, მიმდინარეობს შეჯიბრება ჭადრაკში, რაიონის სამხატვრო სკოლის აღსაზრდელები ხატავენ მუზეუმის შენობისა და შემოგარენის პეიზაჟებს, უკრავს სასულე ორკესტრი, ყველაზე პატარებისათვის მუშაობს ვიდეო სალონი, სადაც უჩვენებენ მულტფილმებს. ზეიმის მონაწილეებს სთავაზობენ საკონდიტრო ნაწარმს, უალკოჰოლო და გამაგრილებელ სასმელებს.

ღონისძიების ოფიციალურ ნაწილს, საზეიმო სხდომას, რომელიც მიეძღვნა ნ.ნიკოლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დაეთმო ერთი საათი და ოცდაათი წუთი, და ყველაფერი ერთად დამთავრდა დღის თხუთმეტი საათისათვის

დიახ, ღონისძიება კარგად ჩატარდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, არავითარი გაუგებრობა, არავითარი ჩავარდნა ... კმაყოფილნი არიან ღონისძიების ინიციატორები, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი დასრულდა და ხვალიდან დაიწყება ჩვეულებრივი სამუშაო დღე. მაგრამ ... რა ქნას იმ ასეულობით და ათასეულობით ადამიანებმა, რომლებიც განეწყო ზეიმისა და აქტიური დასვენებისათვის, ხოლო 15 საათისათვის ერთბაშად მი[illegible]ნდა, ვინაიდან მას აღარ ელის კარგად დაწყებული საზეიმო, ამაღლებული განწყობილების გაგრძელება, რაც ღონისძიების ორგანიზატორებმა ვერ გაითვალისწინეს, თუმც რაიონში ამის შესაძლებლობები გააჩნიათ, თვით სოფელში, მუზეუმის შემოგარენი შესანიშნავით სახალხო სეირნობისათვის, იქვე ნ.ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სადაც შეიძლება მრავალი სპორტული შეჯიბრების, სხვადასხვა მხატვრული კოლექტივების, თუნდაც ტექნიკუმის აგიტმხატვრული კოლექტივების გამოსვლები და სხვა. შემდეგ ქ.სამტრედიის კულტურისა და დასვენების პარკი, რომელსაც ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია, მისი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა თუ სხვათა სახით, კარგადაა ცნობილი არამარტო სამტრედიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც; ერთი სიტყვით, ღონისძიების ორგანიზატორებმა, რომელთაც დადებითად გადაწყვიტეს მასობრივი ღონისძიების პირველი ეტაპი – ემოციურ-სანახაობრივი მხარე, მხედველობიდან გამორჩათ მთავარი – მასობრივი გართობის ნაწილი.

აღნიშნული სენი, მეტ-ნაკლებად, დამახასიათებელია თითქმის ყველა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეგიონისათვის, ყველა მასობრივი დღესასწაულისათვის, რაც ასე პოპულარულ ღონისძიებას ყოველწლიურად აკლებს თაყვანისმცემლებს, მაყურებელს უშუალო მონაწილეებს. უფრო მეტიც : ზოგიერთ რაიონში ანალოგიურ ღონისძიებებზე დაუინტერესებლობის გამო ხალხის მოზიდვა ძნელდება

საყოველთაოდ ცნობილია ხალხის ფართო მასების სიმპატია ძველი ქართული ხალხური თეატრალიზებული სანახაობებისადმი; მაგალითად : „ბერიკაობა“ და „ყეენობა“ ეს დღესასწაულები გამოხატავს უბრალო, მშრომელი ხალხის ბრძოლას შინაური და გარეშე მჩაგვრელების წინააღმდეგ და მათზე გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის საზეიმო აღნიშვნაა. სამწუხაროდ ასეთი დღესასწაულები ძალზე ცოტაა შემორჩენილი და თუ კი სადმე ტარდება, ისე დამახინჯებულად, ისე სტიქიურად მიმდინარეობს, რომ საერთო არაფერი აქვს ტრადიციულ ფორმასთან. ამის ნათელი ილუსტრაცია იყო 1988 წლის თებერვალში ახმეტის რ-ის ს.მატანში გამართული სანახაობა „ყეენობა“, რომლის სანახავადაც ( და არა მასში მონაწილეობის მისაღებად ) რაიონისა და მეზობელი სოფლების დასახლებით 5-6 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ეს ტრადიციული დღესასწაული, რომელიც უცხოელი დამპყრობლების განდევნის, მათი ხელმძღვანელის „ყეენის“ დამცირებით გამოწვეული სიხარულის ზეიმია, რომელსაც ადრე თან სდევდა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება, ხალხური თამაშობები და მთელი კვირა გრძელდებოდა, დღეს სულ 2-3 საათის ხანგრძლივობაში მთავრდება და მის სანახავად მოსული ათასობით ადამიანი კვლავ ვერ პოულობს სულიერ საზრდოს, ვერ ისვენებს, ვერ ერთობა და შემდეგი დღესასწაულისადმი, ცხადია, დადებითად ვერ განეწყობა. აქაც შეიძლება ამ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის მიზნობრივად გამოყენება, მით უმეტეს, რომ ამ დღესასწაულს ტრადიციულად თან ახლავს ალკოჰოლური სასმელების მიღება და რომ გაუგებრობები თავიდან ავიცილოთ, აუცილებელია ადგილობრივმა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებამ პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების დახმარებით მათთვის შექმნან გართობისა და დასვენების ყველა პირობა. საჭიროა გამდიდრდეს თვით დღესასწაულის შინაარსი, შეიცვალოს მისი ჩატარების ფორმა. მჭიდროდ დავუკავშიროთ იგი თანამედროვეობას. დღეს, ისე როგორც არასდროს, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ კარიერიზმს, მექრთამეობას, ბიუროკრატიზმს, ნარკომანიას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საზ კადრებისათვის მიღებულ სხვა მანკიერებებს. დღევანდელი [illegible] სწორედ მათითაა წარმოდგენილი, ამიტომ სატირა სწორედ მათი მისამართით უნდა წარიმართოს, სწორედ ისინი უნდა „ გავაძევოთ “ და მათთან ერთად, ვამხილოთ ყველა ის მოვლენა, რომელიც აფერხებს საზოგადოების წინსვლას, ხელს უშლის მშრომელ ადამიანს შეხედულებებისა და მრწამსის ჩამოყალიბებას. ყოველივე ზემოთქმულის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს მასობრივი ღონისძიება.

საბჭოთა ადგილობრივმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეისწავლონ მოსახლეობის ინტერესები, წინადადებები და ყოველი ღონისძიება მოამზადონ მათი სურვილების გათვალისწინებით. ამ საქმეში მათ სათანადო დახმარებას გაუწევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრი. ეს, რომ აუცილებელი და საჭიროა, ამაში ნათლად დავრწმუნდით რესპუბლიკის რამდენიმე რაიონის მოსახლეობის შერჩევით გამოკითხვის დროს, რომელთა ერთმა პროცენტმაც კი ვერ უპასუხა დადებითად კითხვაზე - „ რა იცით თქვენი რაიონის სახალხო დღესასწაულის შესახებ და როგორია თქვენი აზრი ?“ ეს მაშინ, როცა ბევრ რაიონსა და ქალაქში დღესასწაულის სახელწოდება და შინაარსი, ჩვენი აზრით, კარგადაა გააზრებული. მაგალითად ქუთაისში, სადაც გამოკითხვა მოეწყო, 1983 წლიდან ყოველ ოქტომბერში აღინიშნება სახალხო დღესასწაული - „ ქვალი ნათელი “, რომელიც ეძღვნება სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებულ ადამიანებს, აქ პატივს მიაგებენ ხოლმე სახელოვან თანამემამულეებს, ადიდებენ ომისა და შრომის გმირებს, ეწყობა გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები, მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტები; ამ დღეს ქალაქში იხსნება ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურული და სოციალური დანიშნულების ახალი ობიექტები; ზეიმობენ ა ალ მოსახლეობას, ირჩევენ ქალაქის საპატიო მოქალაქეებს. ერთი სიტყვით ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, მაგრამ... სწორედ ეს „ მაგრამი “ ხალხის ფართო მასებისათვის სასურველი - სახალხო სეირნობანი, გართობისა და დასვენების კომპლექსური ღონისძიებანი, რაც [illegible] საჭიროა და თითქმის არსად არ არის. ერთი სიტყვით, მარტო ღონისძიების ორგანიზატორები კი არა, მთელი ქა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაქი, მთელი მოსახლეობა უნდა ემზადებოდეს და განეწყოს დღესასწაულისათვის, უნდა გაითავისოს იგი. ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება, რომელიც ერთ დასკვნამდე მიგვიყვანს. საჭიროა შეიცვალოს დამოკიდებულება ყველა მასობრივი ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარებისადმი, გარდაქმნის დღემდე არსებული პრაქტიკა, უპირველესად ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ მშრომელთა მოთხოვნები, სურვილები, წინადადებები.

ქ.ზესტაფონში, 1987 წლის სექტემბერში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოყვარულთა თეატრების ზეიმში სახელწოდებით – „ მეგობრობის ჩირაღდანი “ მონაწილეებს კარგად ახსოვთ მისი გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, რომელიც სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ახალგაზრდა რეჟისორებმა მოამზადეს. ღონისძიება სახალხო დღესასწაულით – „ სულიკო -87 “-ით დაიწყო, რომელშიც ჩართული იყო მახარაძის რაიონის მოსწავლეთა მისალმება – „ ბერიკები გიწვევთ სანახაობაზე ! “ მისი შინაარსიდან გამომდინარე, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ათასობით ადამიანი მოვიდა და სიამოვნებით მიიღო მონაწილეობა . დასასრულს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა კარნავალი, რომელშიც პრაქტიკულად თითქმის ყველა დამსწრემ მიიღო მონაწილეობა. ასეთი შემთხვევები იშვიათია, ჩვენ კი სწორედ ეს გვჭირდება.

მასობრივი ღონისძიების წარმატების უზრუნველსაყოფად წინასწარ უნდა შეიქმნას საორგანიზაციო შტაბი; მასში გაერთიანებულმა წევრებმა ( სხვადასხვა ჯგუფებმა ) უნდა უზრუნველყონ ღონისძიების მომზადებისა და ჩატარების ყველა პირობა:

1. სასცენარო ჯგუფი – არჩევს მხატვრულ და დოკუმენტურ მასალებს, განსაზღვრავს მომავალი ღონისძიების მთავარ მოქმედ გმირებს.
2. დამდგმელი რეჟისორული ჯგუფი – უზრუნველყოფს მხატვრული კოლექტივებისა და ცალკეული გამოსვლების მომზადებას, ყველა მასობრივი რგოლის სრულყოფილ დამუშავებას და პროგრამის შეკვრას.
3. ტექნიკურ ჯგუფს – წესრიგში მოჰყავს ყველა საჭირო ტექნიკური საშუალება, მუსიკალური ინსტრუმენტები, მიკროფონები, რადიოკვანძი და ა.შ.
4. ინფორმაციის ჯგუფი – ამზადებს აფიშებს, პლაკატებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფს მსურველებს მისალმებებითა და სიმღერის ტექსტებით. ინფორმაციას აკეთებს ღონისძიების მზადების მიმდინარეობის შესახებ.

5. მხატვარ-გამფორმებელთა ჯგუფი – თემატიკის მიხედვით, აფორმებს ტერიტორიას, აწესრიგებს თვალსაჩინო სააგიტაციო საშუალებებს.

6. სამეურნეო ჯგუფი – მონაწილეებს უზრუნველყოფს კვებით, ტრანსპორტით, სამედიცინო მომსახურეობით და დასვენებით.

იმისთვის, რომ ჩამოთვლილი სამუშაო ჯგუფებისათვის ხალხის ძებნა ღონისძიების ჩატარების წინ არ დაგვჭირდეს, ყველა რაიონის კულტურის განყოფილებებთან ან კულტურის სახლებთან უნდა არსებობდეს მასობრივი ღონისძიებების მოსამზადებელი კომისია ან სამხატვრო საბჭო, რომელშიც უნდა გაერთიანდეს კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების, რედაქციის, სახელმწიფო ან სახალხო თეატრის წარმომადგენლები და სხვა. მათ ყოველთვის გაუწევს მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის მასობრივი დღესასწაულებისა და თეატრალიზებული სანახაობების განყოფილება.

სახალხო დღესასწაულების გარდა, მასობრივი ღონისძიება უნდა მომზადდეს ანალოგიური წესით, მათ შორის ა სახალხო სეირნობანი, საახალწლო და თემატური კარნავალები, საიუბილეო საღამოები, ქუჩებისა და ეზოების ზეიმები. ე.ი. ყველა ის ღონისძიება, რომელიც ღია ცის ქვეშ უნდა ჩატარდეს და ატარებს მასობრივ ხასიათს დაკავებული ტერიტორიისა და მასში მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით.

გაუმართლებლად მიგვაჩნია ღონისძიების დღეს სამამულო და იმპორტული წარმოების დეფიციტური სასურსათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობა. თუ ამის საშუალება არსებობს, ბაზრობები უნდა გაიმართოს წინა დღეებში, ხოლო დღესასწაულის დღეს ორგანიზაცია უნდა გავუკეთოთ ადგილობრივი ნაწარმის ( ხის, კერამიკის და ა.შ. ) თვითნასწავლი მხატვრების, ხალხური ოსტატების ნამუშევრებისა და ხელნაწერების გამოფენა-გაყიდვას. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ ღონისძიების მონაწილეთა უზრუნველყოფას საკონდიტრო ნაწარმით, მინერალური და ხილის წყლებით, უალკოჰოლო და გამაგრილებელი სასმელებით.

ამ მიმართულებით კარგი ტრადიცია არსებობს ზუგდიდის რაიონში, სადაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველი წლის ივლისში იმართება სახალხო დღესასწაული „ დედის დღე “. ცხადია მისი შინაარსი, რომელიც მრავალშვილიან და სასახელო შვილების აღმზრდელი დედების პატივცემაა ? აქ დღესასწაულის დღეს ორგანიზაციას უკეთებენ დედების ნახელავის ( ბავშვთა ჩასაცმელის, საკონდიტრო ნაწარმის და სხვათა ) გამოფენა-გაყიდვას, რომლის შემოსავალიც მშვიდობის ფონდში ირიცხება.

ყველაფერი ეს, ერთობლივად, განსაზღვრავს მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაციასა და მეთოდიკისადმი წარდგენილი მოთხოვნების ხასიათს, რომლის გათვალისწინების შემდეგ, ვფიქრობთ, მიღწეული იქნება ის შედეგი, რომელსაც მიზნად ვისახავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ შესუსტდება ხალხის ინტერესი, გადაიქცევა ფორმალობად, ხოლო საბოლოო შედეგად კი მივიღებთ – წარუმატებლობას.

რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად არიან ჩაბმული ადგილებზე ახალი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს პროცესში. დღეს ძნელია დაასახელო რაიონი, სასოფლო საბჭო, მათში შემავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ამ მიმართულებით არ ეწევიან გარკვეულ მიზანმიმართულ მუშაობას. თითქმის ყველა ღონისძიების, ან შრომე და სხვადასხვა შეკრებების დაწყების წინ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ სრულდება ცერემონიალი „ კოლმეურნედ “ და „ მუშად “ კურთხევისა, საზეიმოდ გადასცემენ შრომის წიგნაკს, პირველ ხელფასს. ამავე დროს ასეთი შეკრებები ყოველთვის გამოიყენება მოწინავეთა შრომითი მაჩვენებლების დემონსტრირებისათვის, რაც უდიდესი პოლიტიკური აქციაა მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის თვალსაზრისით.

იმის გამო, რომ ჯერჯერობით რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში ( მით უმეტეს სოფლად ) არა კეთილმოწყობილი რიტუალების სახლები ან სასახლეები, ახალი ტრადიციების და სამოქალაქო წეს-ჩვეულებების საზეიმო ცერემონიალი ხშირ შემთხვევაში იმართება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თანაც ყოველ სამოქალაქო რიტუალს – ქორწინება იქნება ეს თუ „ ნათლობა “ და ა.შ. თან ახლავს მხატვრული პროგრამა, რომელშიც ცხადია თავისი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. [illegible] რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა თქვან მოცემული რეგიონის ხალხური თვითმოქმედების კოლექტივებმა.

მუშაობენ რა ახალი წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დამკვიდრებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად უდგანან მხარს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, მექრთამეობის, ხალხმრავალი ქორწილების, ქელეხების, სხვადასხვა რელიგიური ღონისძიებების წინააღმდეგ ბრძოლაში და მათ ხშირად უპირისპირებენ საბჭოთა რიტუალებს და მასობრივ ღონისძიებებს. ადგილებზე აგიტმხატვრულ ბრიგადებს, სხვა თვითმოქმედ კოლექტივებს თავიანთ რეპერტუარში შეაქვთ ჩვენი ცხოვრების წესისათვის მიუღებელი ადგილობრივი ფაქტები, კიცხავენ და ფართო სამსჯავროზე გამოაქვთ ისინი.

დიახ! ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემქმნელი თვითონ ხალხია. ისინი მათ ჰქმნიდნენ სამშობლოს მტრების, ყოველგვარი მჩაგვრელების, ბუნებრივი დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში.

რევოლუციამდე ჩვენს ქვეყანაში ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ძირითადად კლასობრივ ხასიათს ატარებდნენ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კი ჩამოყალიბება დაიწყო მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ახალმა შრომითმა ტრადიციებმა, რომლებიც მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ცხადია, ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ტრადიციებმა და წეს-ჩვეულებებმა დაკარგა ეროვნული სახე და ნიშნები, პირიქით, იმ საერთო სახელმწიფოებთან ერთად ნათლად გამოიკვეთა ეროვნული ხასიათები. ამ პროცესისადმი ხელის შეწყობა და მისი კიდევ უფრო განვითარება ყველა ჩვენთაგანის ვალია, მით უმეტეს იმათი, ვინც თავისი საქმიანობით ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესწავლას, პროპაგანდასა და დანერგვას – ემსახურება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის, ყოველ ეტაპზე სათანადო შეფასებას აძლევდა ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების არსს, ყოველთვის გამოდიოდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპებიდან. „მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ამა თუ იმ პრობლემის ეროვნული ასპექტების განსაკუთრებული დელიკატურობა, ხალხური ტრადიციები ადამიანის ცხოვრების წესში, ფსიქოლოგიასა და ქცევაში. ყოველივე ამას გულდასმით უნდა ვითვალისწინებდეთ" – აღნიშნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმზე.

პარტიის მიერ საკითხისადმი ასეთი მიდგომა იძლევა, როგორც ცალკეული ეროვნული, ასევე საერთო-ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემდგომი განვითარების მყარ საფუძველს და ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს მისი სრულყოფისათვის.

ყველა მასობრივი ღონისძიების, ტრადიციის, წეს-ჩვეულებების ძირითადი ნიშნებია მათი მემკვიდრეობითობა, ქმედითობა და გამძლეობის უნარი. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ საბჭოთა ქვეყნის მრავალრიცხოვანი ხალხის მიერ სხვადასხვა ეტაპებზე განვლილი ცხოვრების გზით. პარტიის ბრძნული მოღვაწეობის შედეგად, ყოველგვარ დროს გაუძლო საბჭოეთის ხალხთა ჰუმანურობამ, მათმა მეგობრობამ, ურთიერთდახმარების გრძნობამ. ასე იყო ყოველთვის და ასეა დღესაც. ყველას გვახსოვს ტაშკენტის მიწისძვრის, ჩერნობილის ატომური ელექტრო სადგურის დაზიანების, ხოლო გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკაში სტიქიის შედეგად დაზარალებული რაიონების მოსახლეობისადმი გაწვდილი დახმარების ხელი ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი კუთხიდან, ხელი, რომელსაც არ შეიძლება არ ერწმუნო, აწ ენდო და სიხარულით არ აავსებს. სწორედ ასეთი ტრადიციის, ასეთი წეს-ჩვეულების გამომხატველის, დამკვიდრების და პროპაგანდის ამოცანა დგას დღეს თითოეული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე.

ვფიქრობთ, აღნიშნული რეკომენდაციები რამდენადმე შეუწყობს ხელს მასობრივი ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარებით დაინტერესებულ პირებს, ხოლო შემდგენელი სიამოვნებით მიიღებს ყოველ საქმიან შენიშვნას, წინადადებას და სურვილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასობრივი ღონისძიებების, ახალი საბჭოური წეს-ჩვეულებებისა და სამოქალაქო რიტუალების მომზადებასა და ჩატარებაში დაინტერესებულ პირებს დიდ დახმარებას გაუწევს ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები.

1. „რეკომენდაციები სახალხო დღესასწაულების მომზადებისა და ჩატარების შესახებ“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984 წ.
2. „რეკომენდაციები ნაოლსავებისა და ახლობლების ხსოვნის დღის მომზადება – ჩატარების შესახებ“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984 წ.
3. „რეკომენდაციები საბჭოთა მოქალაქეებისათვის პასპორტის საზეიმოდ გადაცემის წეს-ჩვეულების შესახებ“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ თბილისი, 1984 წ.
4. „რეკომენდაციები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებისადმი მიძღვნილი ზეიმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984 წ.
5. „რეკომენდაციები საბჭოთა არმიის რიგებში საზეიმოდ გაცილების შესახებ“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984 წ.
6. შ. ნოზაძე, „ზეიმის დღეებში“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986 წ.

აღნიშნული მასალების გაცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე) შეიძლება პარტიის საქალაქო და რაიონული განყოფილებების პოლიტგანათლების კაბინეტებში, აგრეთვე ცენტრალურ, საქალაქო, რაიონულ ბიბლიოთეკებში.

Методика подготовки и проведения

массовых мероприятий

/на грузинском языке/

შემდგენელი ვ. კენკიშვილი

რედაქტორი თ. გაბელია

კორექტორი ზ. ქებურია

რეცენზენტები: ე. წულუკიანი, გ. კახელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად I.IX.988, ოპერატიული ბეჭდვის სტამბა, ვაჟა-ფშაველას გამზ. 104, ტირაჟი 500, უფასო.

უე-24429 შეკვეთა-1075

36/62
F 63.686
ეროვნული ბიბლიოთეკა